


მარტი 1905

# ჟურნალი „ჯეჯილისა"

გვ.

| | | |
|---|---|---|
| I | ჩვენი ცუგა ლექსი — შ. მღვიმელისა. . . . . . . | 3 |
| II | ლომი და მეზობლები (იგავი) — ალ. მირიანაშვილისა. . . | 5 |
| III | ქვიანი ცხვარი (თარგმანი) — ტასოსი . . . . . . . | 6 |
| IV | ფორთოხალი (გადმოკეთებული) — ვერასი . . . . . . | 7 |
| V | გვირილა (ზღაპარი) — ვ. მიქაბერიძისა . . . . . . . . | 10 |
| VI | თავისი ცოდვის გამჟღავნება (თარგ.) — სონასი . . . . | 17 |
| VII | რათ გავჩენილვარ? (ფუტკრის ნაამბობი) — თეოდ. ხუსკივაძისა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 24 |
| VIII | წვრილმანი და რებუსი . . . . . . . . . . . . . | 33 |
| IX | გაზაფხულის მოწოდება ლექსი — ქოჩოსი . . . . . . | 35 |
| X | რათ წაიყვანეს? — ეკ გაბაშვილისა . . . . . . . . . | 36 |
| XI | თათრების მფლობელობა საქართველოში — დ. კარიჭაშვილისა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 42 |
| XII | კუტი (ანდერსენიდან) — ს. ციციშვილისა . . . . . . . | 48 |
| XIII | ტროადის ომი, (მშვენიერი ელენე) — ა. ყუმისთაველისა . | 53 |
| XIV | ინდოეთის ხე-გველა . . . . . . . . . . . . . . . | 57 |
| XV | ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა — სან — ინისა. | 59 |
| XVI | წვრილმანი . . . . . . . . . . . . . . . . . | 63 |




## საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გაზდი ყანაო!..
ი. ჭ.

**№ III**

წლიწადი მეთექვსმეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცის, № 41 || Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Марта 1905 г.

ჩვენო ცუგო, დილას აქეთ
კარგა ხანმა გაიარა;
მოდი ახლა ვისადილოთ,
რაც ვიშრომეთ ჯერ ის კმარა.



# ღორი და მებოსტნე.

იგავი.

ღორი შევიდა ბოსტანში და დაიწყო დინგით მუშაობა: აჩიჩქნა, გადათხარა, კვლები პირქვე დაამხო. არ დასტოვა არც ერთი ნათესი; ყველას ძირი გამოუჩინა, გადაღრღნა, გაანადგურა.

— რა გრჯის, ვის დაუვალებიხარ, რომ ბოსტანი მთლად გადაგითხრია? ჰკითხა ღორს მებოსტნემ, რომელმაც შეასწრო ამ დროს არა-მკითხე მუშას.

— სიმართლე დავკარგე და იმას ვეძებო, მოსწრებულად მიუგო ღორმა.

— სწორეთ რომ აგრეა, ნამდვილს ამბობ, დაეთანხმა მებოსტნე.

— რას ამბობ, ტყუისო, — განცვიფრებით შენიშნა იქ დამსწრემ, — ეგ ღორი თავისს სასუნსლავს დაეძებს და სიმართლის დაკარგვას იგონებსო.

— არა, — მიუგო მებოსტნემ, — ღორს მე ვერწმუნები: სიმართლე რომ არ დაეკარგა, ხომ ველარც იცრუებდაო.

ალ. მირიანაშვილი.

# ჭკვიანი ცხვარი.



ყველას ცხვარი მიაჩნია სულელ პირუტყვათ, მაგრამ ქვემოთ მოყვანილი ამბავი გვიჩვენებს, რომ ცხვრებს ერთმანერთი ებრალებათ და ხშირათ მალიან გონივრულათაც იქცევიან.

ერთ ახალგაზდა ექიმს უყვარდა ველოსიპედით სეირნობა; ერთხელ მინდორზე რომ გაიარა, სადაც ცხვრის ფარა სძოვდა შეამჩნია, რომ მის დანახვაზე მთელი ფარა გაიფანტა—ერთი ცხვარი-კი წამოვიდა პირდაპირ ექიმისკენ; ის საცოდავათ ბღაოდა და ექიმს შიგ თვალებში მუდარებით შესცქეროდა. ექიმმა ვერ გაიგო რაში იყო საქმე, მაგრამ მაინც ჩამოხტა ველოსიპედიდან. როგორც-კი დაინახა ეს ცხვარმა, მაშინვე გაიქცა მინდვრის ბოლოს და თითქოს ამასაც იწვევდა იქითკენ. ექიმი გაჰყვა. აღმოჩნდა რომ ერთი ცხვარი ჩავარდნილიყო პატარა მდინარეში და ვერაგზით თავი ვერ დაეღწია წყლიდან.

ექიმმა საჩქაროთ ამოიყვანა წყლიდან საბრალო პირუტყვი და მაშინვე ორივე ცხვარი მხიარული კუნტრუშით გამოუდგენ თავიანთ დაწინაურებულ ამხანაგებს.

ტასო.

# ფორთოხალი.

ერთ ბაყალს, სხვა ხილთან ერთათ ფანჯარაზე დაელაგებინა ლამაზი ფორთოხლებიც. ამ ფანჯრის წინ გზათ გაიარეს პატარა თამარომ და მისმა დედამ. დედამ თამაროს ერთი ლამაზი ფორთოხალი უყიდა. პატარა გოგონა შინ რომ დაბრუნდა ფორთოხალი გაფცქვნა და ყველას გაუნაწილა; ერთი ნაჭერი დედას მისცა, ერთი გადიას და ერთიც თითონ შეჭამა, კურკები-კი ძირს გადაყარა. დედამ აიღო პატარა ქოთანი, ჩაყარა შიგ მიწა და უთხრა თავის გოგონას:

— შვილო, აიღე ფორთოხლის კურკები, ამ მიწაში დათესე და ფანჯარაზე მზეზე დადგიო.

ქოთანი დიდხანს იდგა ფანჯარაზე. თამარა მიწას წყალს ასხამდა, მზე-კი ათბობდა. ერთ დილას, როცა თამაროს ეძინა, მიწი-

დან მწვანე მცენარემ თავი ამოჰყო. თამარომ რომ დაინახა შეჰყვირა:

— დედიკო, დედიკო! ჩვენ ქოთანში რაღაც მცენარე ამოსულაო!

—

იზრდებოდა თამარო, იზრდებოდა მცენარეც.

პატარა გოგონას ძალიან უნდოდა, რომ იმის მცენარეს ფორთოხალი მოესხა. წავიდა თავიანთ მებაღესთან, წაიღო თან თავისი მცენარე და შეეხვეწა:

— ჩემო გულ-კეთილო მებაღევ, ისე გამიკეთე ჩემი მცენარე, რომ ფორთოხალი მოისხასო.

მებაღეს ბაღში დიდი ფორთოხლის ხე ედგა; ამ ხეს ტოტი მოსჭრა, პატარა მცენარეს გვერდზე ცოტა ამოსჭრა, შიგ თავის ფორთოხლის ტოტი ჩასვა და ზედ მჩვარი მოუჭირა. ცოტახნის შემდეგ ფორთოხლის ტოტი და მცენარე შეხორცდენ. მაშინ მებაღემ თამაროს დაუძახა და უთხრა:

— წაიღე შენი მცენარე, ცოტახნის შემდეგ მოისხამს მრგვალ და ტკბილ ფორთოხლებსო.

—

გოგონამ ფორთოხლის ხე შინ წაიღო და ისევ ფანჯარაზე დადგა.

ერთხელ თამრომ შენიშნა მცენარეზე მწვანე კოკორი, რომელიც თან-და-თან იზრდებოდა და ბო-

ლოს თეთრ სუნოვან ყვავილათ გადიშალა. ყვავილი მალე გასცვივდა და დარჩა ამის მაგივრათ მარტო მწვანე ნაყოფი. ნაყოფი იზრდებოდა და ყვითლდებოდა. ბოლოს გადაიქცა პატარა მრგვალ ფორთოხლათ.

თამარომ ეს ფორთოხალი მოსწყვიტა, ქერქი გააძრო, დაჰყო ნაჭრებათ: ერთი ნაჭერი დედას მისცა, ერთი გადიას და ერთიც თითონ შეჭამა. თან სიხარულით გაიძახოდა:

— ეს ფორთოხალი ხომ ჩემი დათესილი და მოვლილიაო.

ვერა.

(გადმოღებული)



# გვირილა.

(ზღაპარი)



ერთ მდიდარ სასახლის გარშემო იყო გაშენებული მშვენიერი ბაღი. სახლის წინ მწვანეთ ბიბინი გაჰქონდა პატარა მინდორს. მინდორს გარშემო კვალი ჰქონდა შემოვლებული, რომელიც ყვავილების გადასარგავათ იყო მომზადებული. მინდორში ამოვიდა პატარა გვირილა, რომელსაც არავინ არა რწყავდა, არავინ უვლიდა. ზოგჯერ შემოუბერავდა მოუსვენარი ქარი, გადუღუნავდა ღეროს და დააურევინებდა ნაზ ფოთლებს. გვირილა რაც შეეძლო უფრო ღრმათ იდგავდა ფესვებს მიწაში; სულ იმას ცდილობდა ქარს მირიანათ არ მოეწყვიტა. ასე იზრდებოდა გვირილა მარტო, სხვის დაუხმარებლათ

გვირილას ახლო იდგა დაბერებული ასკილის ბუჩქი. ერთხელ ასკილმა უთხრა გვირილას:

— ახლა ძლივს უძლებ წვიმას და მოუსვენარ ქარის ბერვას, მაგრამ მაშინ რაღა გეშველება, შე საწყალო, როცა დიდი ქარ-ბუქი ამოვარდება?.. შარშან, როცა შენ ჯერ არ იყავი ქვეყნიერობაზე გაჩენილი, ამოვარდა საშინელი ქარ-ბუქი; ბევრი ხეები დაამტვრია ჩვენ ბაღში, ბევრი ყვავილები გაჭყლა, დაჟეჟა. მაშინ, იმ ოხერმა მეც ბევრი მავნო, კიდევ კარგი, რომ აღმოსავლეთით ბაღის კედელი მაფარია. შე საწყალო ობოლო, ერთათ ერთო ჰაწკუნავ, რა უნდა ქნა, ვინ დაგიფარავს, ვინ გიშველის?!..

— მე თვითონ ვეცდები მიწიდან ვიწოვო ძალ-ღონე, რომ მაგრა დავუხვდე უბედურებას და ჩემ მტერს ქარ-ბუქს. ბრწყინვალე მზის სხივები გამიშუქებენ, გამათბობენ და გავმაგრდები!—მიუგო გვირილამ.

ყველა ეს დიდის გრძნობით და იმედით წარმოთქვა გვირილამ და ფოთლებით და ყვავილ-კუკურით მზისაკენ გადიხარა.

ერთხელ ბაღჩაში შემოვიდენ მებაღეები, რომლებმაც რაღაც მუშაობა და მოძრაობა დაიწყეს. სახლის აივანი გაამსეს მწვანე კასრებით, რომლებშიც ჩარგული იყო სხვა-და-სხვა ყვავილები. კვლები ხელ-ახლათ დაბარეს, გაასუფთავეს და გადარგეს შიგ ორანჟირეიდან *) გადმოტანილი სხვა-და-სხვა მცენარეები.

*) ზამთარში ყვავილების შესანახი თბილი შუშაბანდიანი ოთახი.

გვირილა დიდის სიამოვნებით შესცქეროდა მცენარეებს, უკვირდა, არ ეგონა თუ ქვეყნიერობაზე ამგვარი ყვავილები



გვირილა.

არსებობდენ. იქვე გვირილას ახლოს მოჩანდა მშვენიერი სუნოვანი ყვავილი «ბავარდია», რომელსაც გადაეშალა თეთრი ოთხ-ფურცლიანი ყვავილები, თითქო წმინდა სანთლიდან არის ჩამოსხმულიო, რომლებიც ისე ბრწყინავდენ მწვანე ფოთლებში, როგორც ცაში ვარსკვლავები. «ბავარდიას» მალიან ეჩოთირებოდა გარეთ ჰაერში დგომა; ის დაიბადა და გაიზარდა შუშის ხუფის ქვეშ და ჯერ ცივი ნიავი არ მიჰკარებოდა. როცა გრილი წმინდა ნიავი ამოვარდებოდა, «ბავარდიას» ეჯავრებოდა და ნატრობდა ორანჟირეიაში ყოფნას. აგრეთვე არ მოსწონდა, როცა ყვავილზე წვიმის ნამი დაეცემოდა ხოლმე. ორანჟირეის ბუხრების სითბო ერჩივნა მზის თბილ სხივებს. იდგა ამპარტავნათ, დიდებულათ, თავგამოდებული, უკმაყოფილო. ყველა ყვავილები და ბალახები, რომლებიც გარშემო იდგენ აღტაცებაში მოდიოდენ «ბავარდიის» დანახვაზე; ჩაეკიდათ თავები მირს და გაიძახოდენ: «რა ლამაზია! რა მშვენიერიაო!»

მარტო დაბერებული ასკილი გულდაწყვეტილი მრისხანეთ ამბობდა:

— ჩემის აზრით გვირილა, რომელიც თითონ იზრდის სარჩოსათვის, იტანჯება, იტანს ქარიშხალს, სეტყვას, ათასჯერ სჯობიან იმ ორანჟირეიდან გამოსულს განაზებულ ყვავილს. მაგრამ ამ აზრისა იყო მარტო ასკილი, დანარჩენი მცენარეები აღტაცებულები იყვნენ «ბავარდიის» სილამაზით და «ბავარდიასაც» დედოფალსავით თავი აემაღლებინა და გვირილასკენ გადახედვასაც-კი არა კადრულობდა. დაჩაგრულ გვირილასაც თავი მოედრიკა «ბავარდიას» წინაშე.

დრო გადიოდა.

დადგა მკათათვის ცხელი დღეები. ერთბაშათ მოიღრუბლა, ჩამობნელდა; მოისმა ქუხილის ხმა, ავარდა მტვერი.

— გამაგრდი, გამაგრდი, მაგრა მოეჭიდე მიწას ფესვებით—ხედავ რა ქარ-ბუქი ამოვარდა!—თუ ძალ-ღონე გაქვს ახლა გამოჩნდება— ჩაუჩურჩულა «ბავარდიას» გვირილამ.

«ბავარდიამ» გადიღუნა თავისი თეთრი ყვავილი გვირილასკენ და ამაყათ უთხრა:

— შენ, შენ თავზე იფიქრო ის გირჩევნია! შე საცოდავო ბალახო; არავინ არ გიფარავს, არა გშველის,—მე-კი, განა არა ხედავ, გარშემოკრული მაქვს ლატნები და ჭილობიც მახვევია?!..

— შენ ლატნები და ჭილობი ვერას გიშველის, თუ ფესვებში და ღეროებში ძალ-ღონე არა გაქვს. ეცადე ფესვები გაიმაგრო! ხელ-ახლათ მიუგო გვირილამ თავაზიანი

კილოთი. მაგრამ «ბავარდიამ» ყურიც არ ათხოვა და დიდათ შეურაცხყოფილმა ზურგი შეაქცია.

ქარიშხალი მლიერდებოდა, ხშირათ ელავდა, შავი ღრუბლებიდან გადმოსკდა ჯერ მოშხო წვიმა, მერე სეტყვა.

— მშვიდობით, ჩემო პაწკუნავ, მშვიდობით,—შესძახა ასკილმა გვირილას,—განა გადიტან, შე საბრალო პატარა არსებავ, ამისთანა უამინდობას?!..

— ნახვამდის!—ოდნავ შესძახა ასკილს გვირილამ.

გვირილა დიდ შიში იყო. სეტყვამ ფოთლები სულ დაუჭეჭა, ყვავილები და ღეროები დაუმტვრია.

— იმედი ნუ გაქვს ლატნებისა, «ბავარდიავ»... კიდევ შესძახა გვირილამ; მაგრამ ქარიშხალმა გვირილას სუსტი ხმა აქეთ-იქით გაფანტა.

მთელი დღე და ღამე მოუსვენრათ ქშუოდა ქარი და ჩავარდა მხოლოდ დილით. მზემ თვალი გამოაჭყიტა, ბუნებამ გაიღიმა. ფრინველებს ბუჩქებში ჟივილ-ხივილი შეუდგათ. ნამიან ბალახებში დახტოდენ ბაყაყები და რაც მალი და ღონე ჰქონდათ ყიყინებდენ: «ყი, ყი, ყი! გათავდა ჩვენი დღესასწაული. ისევ დაიწყო გვალვა! ყი, ყი! წავიდეთ, შვილებო, ჭაობში: ყი, ყი, ყი!»

— ეს რა ამბავია? დიდი ქარიშხალი ჩავარდა და მე-კი ცოცხალი ვარ?»—გაიფიქრა გვირილამ და დაიწყო თავისი დაჭმუჭნული და სველი ფოთლების სწორება.

ავდარმა ძალიან შეაწუხა საცოდავი გვირილა, მაგრამ მიწიდან მაინც ვერ ამოგლიჯა, რადგან ფესვი მაგრათ ჰქონ-და მიწაში გადგმული, მცენარემ იგრძნო, რომ წვიმისაგან ღონე მოემატებოდა.

— ნეტა რა მოუვიდა ასკილს? ან «ბავარდიას?» გა-იფიქრა გვირილამ და პირველათ გადახედა თავის მეგობარ ასკილს.

ასკილის ბუჩქი სულ მილეწილ-მოლეწილი იყო; ქარს ბევ-რი ფოთოლი და ყვავილები გაეძრევინებინა, მაგრამ მაინც ცოცხალი იყო, მან გაუშვირა გვირილას ეკლიანი ტოტი და გაუღიმა. გვირილამ სიხარულით ფოთლები აამრიალა, მერე შეხედა იმ კვალს, რომელსაც გუშინ «ბავარდია» ამშვენებ-და. ღმერთო ჩემო, რას წარმოადგენდა ის ადგილი! ყველა ყვავილები, რომლებიც «ბავარდიას» გარშემო ყვაოდენ, სულ პირქვე ეყარენ. «ბავარდია», ამაყი თავგამოდებული «ბავარდია», ეგდო შავ მიწაზე, ფესვებ-გადმობრუნებული და წუნარათ სული ამოსდიოდა, ჭკნებოდა. მის გარშემო ეყა-რა დამსხვრეული ლატნები და ჭილობის ნაფლეთები...

— შე საწყალო!—მიაძახა გვირილამ,—ძალიან-კი მოგ-წონდა თავი, დიდი იმედი გქონდა სხვები დამიფარავენ, მო-მეშველებიანო, ის გერჩივნა, შე საცოდავო, შენ თვითონ გებ-დო ყური შენი თავისათვის. დიდგულობამ და ბატონობამ გიყო, რომ პირველმა ქარ-ბუქმა დაგღუპა, ბოლო მოგიღო,

წუთი-სოფელს გამოგასალმა. საწყალო, საცოდავო «ბავარდიავ!» უთხრა გვირილამ და ცოტა არ იყოს დაღონდა.

მაგრამ გვირილამ მალე იგრძნო, რომ მიწიდან ტკბილი სისველე აძლევდა ძალას. გადაშალა რამდენიმე ახალი ყვავილი, უფრო სადი და მოზრდილი წინანდელზე, და მზის საამურ თბილ სხივებზე მხიარულად ბზენა დაიწყო. გვირილას დაავიწყდა გაჭირვება და სიხარულით ისმენდა ფრინველები რომ მწყობრათ უგალობდენ სადღესასწაულო ხმებს.

ვ. მიქაბერიძისა.

(რუსულიდან)



# თავისი ცოდვის გამჟღავნება.



ების ესტუმრა შვილი-შვილებს და თან საჩუქრები მოუტანა: პატარა ვასოსა და ალექსის მშვენიერი აფერადებული ქალა-ქური ციგები, რომლითაც თავისუფლად შეეძლოთ თოვლზე ცურაობა. ლიზასა და სოფოს-კი ორი ერთნაირი ნახატი. ორი-ვეზე გამოყვანილი იყო ჩინეთის ერთი დიდი ქალაქი, რომელიც მდინარის პირს მდებარეობს.

რა არ იყო ამ ნახატზე გამოყვანილი: მრავალი ნავით მოცურავე ხალხი, დიდი და პატარა ჩინელები, ქალი და კა-ცი — უცნაურ ჭრელ ტანისამოსში გამოწყობილნი, წითელ-ყვითელ წვერ-მოკაუჭებულ ფეხსაცმელებით, თავზე სოკოსა და თეფშის მსგავსი ქუდებით. ხელშიაც თითქმის ყველას ჭრელი მარაოები ეჭირათ. მდინარეში იმოდენა ნავები და-ცურაობდენ ხალხით სავსე, რომ წყალი თითქმის აღარა ჩანდა.

მეტის მეტათ გაერთვნენ ბავშები ამ ნახატების შინჯვით, მთელ საათს შინჯავდენ და როდესაც დედამ მათ სადილათ დაუძახა ჯერ კიდევ სრულიად არ მოესწროთ ყველა სახლების, ნავების და ხეების დათვალიერება.

— რა ვწუხვარ, რომ ჩემ ნახატს ჩარჩო არა აქვს. დავკიდებდი ჩემს ოთახში, დედოფლები რომ მილაგია იმ კუთხეში და მთელ დღეს თან დედოფლებს ვეთამაშებდი და თან ნახატს ვათვალიერებდი!.. ამბობდა სიხარულისაგან აწითლებული ლიზა.

— მეც აგრე ვიზამდი.—დაუმატა სოფუნამ.

— იცით რა მოვიგონე? მოდი ჩემ ნახატს რამე ნიშანს დავადებ, რომ სოფუნას ნახატისაგან გავარჩიო ხოლმე—ეუბნებოდა ძმებს ლიზა.

— მეცა, მეცა! გაიძახოდა სოფუნა.

— მოდი აგერ განაპირას რომ ჩინელი დგას იმას თვალში ნემსს გავუყრი და ეს იქნება ჩემი ნახატის ნიშანი·

— მეც გავუყრი - შეჰყვირა სოფუნამ.

— შე სულელო, თუ შენც ჩემნაირ ნიშანს დაადებ, როგორ-ღა გავარჩევთ, რომელი რომლისაა?

— არ მინდა, არა. მეც უნდა გავუკეთო - გაიძახოდა სოფუნა.

ძლივს მოახერხეს და-ძმებმა სოფუნასთვის აეხსნათ, რომ თუ ორივე ერთნაირ ნიშანს დაადებდა ნახატები ისევ აირეოდა ერთმანეთში. სოფო ჯერ ექვსი წლისა არ იყო და

ამიტომ, ლიზასთან შედარებით, ის სულ უგონო ბავშათ ჩაითვლებოდა.

დაწოლის წინეთ ნახატები სასტუმრო ოთახში ფორტოპიანოზე დააწყეს და, რომ არაფერს გადმოეგდო, ზედ დიდ უდიანი წიგნი დაადეს.

საღამოს ცხრა საათზე ბავშებმა დაიძინეს და მთელ ღამეს სიზმარში სულ ბებიას საჩუქრების შინჯვაში იყვენ. ვაჟებს ეჩვენებოდათ, ვითომ დიდ თოვლიან გორაზე მოსრიალებდენ ციგებით. ქალებს ებლანდებოდათ ჩინელ ქალთა და კაცთა გროვა, რომლებიც ნევსით გახვრეტილი თვალებით გამოიცქირებოდენ და მარაოს ქნევით თავებს უკრავდენ ლიზას და სოფუნას.

დილით სოფო და ლიზა ლოგინიდან საჩქაროთ წამოცვივდენ, ტანთ ჩაიცვეს, პირი დაიბანეს და სასადილო ოთახისაკენ გაექანენ ჩაის დასალევათ. მაგრამ ლიზამ ვერ მოითმინა, ჯერ სასტუმრო ოთახში შევარდა, რომ ერთი თვალი გადაევლო ნახატისათვის. იმან საჩქაროთ მიირბინა ფორტოპიანოსთან, ასწია დიდ-უდიან წიგნს და წამსვე შენიშნა, რომ მხოლოთ ერთი ნახატი-ღა იყო. დაუწყო მეორეს ძებნა ფორტოპიანოზე, საწიგნეზე, წიგნების შკაპში, მაგრამ ვერსად ვერ ნახა.

— ვისი ნახატი დაიკარგა, ჩემი თუ სოფოსი? გაიფიქრა იმ წამსვე ლიზამ. იმან გადმოაბრუნა ნახატი, მიუშვირა სინათლეზე და დაუწყო თვალიერება ჩინელის თვალს,

მაგრამ ნევსის ნაჩხვლეტი არსად ჩანდა — «სჩანს ნახატი ჩემი არ არის—სოფოსია! გაიფიქრა ლიზამ — ახლა მე ცარიელი დავრჩები, ნახატი არ მექნება, ამას სოფუნას მისცემენ... მაგრამ ამ ნახატზედაც რომ ვუჩხვლიტო ნევსი ჩინელს თვალში?.. რა იქნება?.. ვინ რას გაიგებს!.. ყველა დარწმუნდება, რომ სოფოსი დაიკარგა და არა ჩემი

ლიზას დიდხანს არ უფიქრია, გააღო დედის ხელსაქმის ყუთი, ამოიღო ნევსი და უჩხვლიტა ნახატზე ჩინელს თვალში და საჩქაროთ შევარდა სასადილო ოთახში.

— ერთი ნახატი დაკარგულა, სწორეთ სოფუნას ნახატი, ჩემი აგერ არის და სოფოსი აღარ არის!.. სადღაც დაკარგულა! ქაქანით და სხაპა-სხუპით გაიძახოდა ლიზა და თან წითლდებოდა შიშით, სიცრუე არავინ შემამჩნიოსო. მართლაც ვერავინ შეამჩნია.

დაათვალიერეს ნახატი სინათლეზე და ნახეს, რომ პატარა ჩინელს თვალი მართლა ნევსით ჰქონდა გახვრეტილი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ სოფუნას ნახატი დაიკარგა.

— ყველა კარგი, მაგრამ, საკვირველია, სოფუნას ნახატი სად დაიკარგა! კითხულობდა ყველა.

შეეკითხნენ დედას, იმანა თქვა — არაფერი ვიციო. დაუძახეს მოსამსახურეს, მაგრამ არცარა იმან იცოდა.—დილით ოთახები რომ დავალაგე მარტო ეგ ერთი ნახატი იდო ფორტოპიანოზეო—მოახსენა მოსამსახურემ.

სოფუნა დაჰა-დუჰით ერიდა ცრემლებს. ისეთი შეწუხებული იყო, რომ იმ დღეს წიგნიც ვეღარ წაიკითხა. დედას ძალიან შეეცოდა და ნება მისცა შენი დედოფლები მოიტანე და სასტუმროში, როგორც გინდა ისე ითამაშეო.

ლიზასაც ძალიან ეცოდებოდა თავისი დაია, მაგრამ იმის გამოცხადებას ვერ ბედავდა, რომ ჩინელს თვალი მე გავუხვრიტეო.

— დედა, უეჭველია, სოფუნას რამეს აჩუქებს! ფიქრობდა ლიზა — მეც ვაჩუქებ რასმე და ამით დავამშვიდებო — და დაუწყო თავის სათამაშოებს შინჯვა. როგორც იყო ამოარჩია ერთი დამჭკნარებული ცხვარი, რომელსაც ცხვირი სულ დაბამბული და ტანზე ბალანიც იქა აქა ჩრჩილისაგან შეთხელებული ჰქონდა. ლიზამ ამ ბებერ ცხვარს ერთი ბებერი მამალიც მიუმატა, რომელიც სიყმაწვილეში თამამათ აქნევდა ფრთებს და მკაფიოთ გაიძახოდა: «ყიყლიყოო», ახლა-კი ძლივ ხაოდა და ფრთებსაც ოდნავ აზვანზვალებდა. ეს ორივე სათამაშოები აჩუქა ლიზამ სოფუნას და ცოტათ დამშვიდდა; ნახატი არსად გამოჩნდა და დარწმუნებული იყო მის ეშმაკობას ვერავინ გაიგებდა.

დაღამდა. ბავშები გარს შემოსხდომოდენ რგვალ მაგიდას და მეცადინეობდენ: ვაჟები ხატავდენ, სოფუნა ქაღალდის ხუხულებს აშენებდა და ლიზა ნახატზე ჩინელებს ათვალიერებდა.

ამ დროს გაიღო კარი და ბიძია ნიკო შემოვიდა, რო-

მელსაც ხელში დიდათ რაღაც შეხვეული ეჭირა. ბავშები მისცვივდენ თავიანთ საყვარელ ბიძიას და დაუწყეს ალერსი. ბიძიამ ჯერ ყველა გადაჰკოცნა, მერე გახსნა შეხვეული და ბავშებს დაანახვა მშვენიერ მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული სოფუნას ნახატი.

ისე მოულოდნელი იყო ბავშებისთვის ეს, რომ პირველში ნახატი ვერც-კი იცნეს.

— სოფუნა, ეს ხომ ის ნახატია შენ რომ დაგეკარგა? შეჰყვირა ვასომ და თან სიხარულით ხტუნვა დაიწყო.

— არა, არა! მაგისი-კი არა, ჩემია! უცბათ წამოიძახა ლიზამ.

მოოქრულ ჩარჩოში ნახატი ისეთი მშვენიერი ჩანდა, ისე მოეწონა ლიზას, რომ მოუფიქრებლათ თავისი ცოდვა თვითვე გაამჟღავნა.

— როგორ თუ შენია? შენ ნახატზე ჩინელს აკი გახვრეტილი აქვს თვალები? შეწუხებული — წუწუნით დაეკითხა სოფუნა.

ლიზა გაწითლდა. სირცხვილით კინაღამ ტირილი დაიწყო.

— საკვირველია!—თქვა ბიძია ნიკომ და წარბ-შეკვრით შეაცქერდა ლიზას — მე რომ ამ ნახატს ჩარჩოს ვუკეთებდი, შევნიშნე რომ აქაცა აქვს ჩინელს თვალები გახვრეტილი!

ლიზას თავპირი აღდგომის წითელ კვერცხსავით გაუწითლდა. ბიძიამ ლიზას ზურგი შეაქცია და განაგრძო:

— წუხელის გვიან მოვედი. თქვენ, ბავშვებო, ყველას გძინათ. დედა-თქვენმა მიამბო, ბებიამ ბავშვებს მშვენიერი ნახატები მოუტანაო. მე გადავწყვიტე: მოდი ყველას ჩუმათ ერთ ნახატს წავიღებ სახლში, ხვალ დილას ლამაზ ჩარჩოს გავუკეთებ და საღამოს მოულოდნელათ მოვიტან-მეთქი. წასვლის დროს ჩუმათ პალტოს-ქვეშ ამოვიდე ნახატი, ისე რომ არც დედას და არც სხვებს არავის დაუნახავს.

— ჩემო მია, ლიზას ნახატსაც ხომ გაუკეთებ ამისთანა ჩარჩოს? შეეკითხა სიხარულისაგან აწითლებული სოფუნა

— არა.

— რატომ? რატომ? ერთხმათ მიაძახეს ბავშვებმა.

— თითონ ლიზას ჰკითხეთ და ის გეტყვით, იმან იცის. უპასუხა მიამ.

მაგრამ ლიზა არაფერს ამბობდა, თუმცა და-ძმები ბევრს ეხვეწებოდენ, გვითხარი, მია რატომ არ უკეთებს შენ ნახატს ჩარჩოსაო.

ლიზიკოს თავისი ნახატი ამ დღიდან ჭირივით შესძულდა. ისეთ ალაგას შეჰკუნჭა შკაფში, რომ თვალითაც აღარ დაუნახავს. მთელი ზამთარი ლიზა სირცხვილით იწოდა და არ იცოდა, როგორ გაემართლებინა თავი, როდესაც ბიძია ნიკო მოვიდოდა ხოლმე და დაეკითხებოდა:

— უთხარი თუ არა შენ და-ძმებს, რატომ არ გავუკეთე ჩარჩო შენს ნახატსაო?

სონა.

(თარგმანი)

# რათ გავჩენილვარ!

(პატარა ფუტკრის ნაამბობი)



ახსოვს, არასოდეს არ დამავიწყდება ის ბნელით მოცული არემარე, ის ჰაერ დახშული მიდამო, სადაც მე დავიბადე, სადაც პირველათ ავახილე თვალები. ჩემი დაბადება არავისაც არ გახარებია. მე ეს მჯერა, მით უმეტეს, რომ იმ დღეს ჩემს გარშემო ყრუ ზუზუნის მეტი არც მხიარულება, არც წუხილი, არც რაიმე უჩვეულებრივო არ შემინიშნავს, არ მსმენია. მე ეს არც გამკვირებია. პირველ დღესვე ვიგრძენ, რომ ჩემი ამ სოფლათ მოვლენა მეტი იყო.

ჩემი მშობლები უჩემოთაც დატვირთულნი იყვნენ წვრილი შვილებით. ჩემი დაბადებით მეტი შრომა, მეტი მწუხა-

რება თუ მოემატებოდა, თორემ მე რა შემეძლო ოჯახში შემეტანა. ასე ვფიქრობდი, ასე მეგონა ცხოვრებაც ამ გზაზე დამაყენებდა. მაგრამ თურმე ძლიერ ვსცდებოდი. ოცნებაშიაც ვერ წარმოვიდგენდი იმ ამბებს, რაც შემდეგ ცხოვრებამ დამანახვა. ჩემი არსებობის პირველ დღეებში, როცა ჯერ ისევ ნორჩი, უძლური და ბალღი ვიყავი, არ ვიცოდი რა იყო ეს ქვეყანა, რა დანიშნულება მქონდა ცხოვრებაში, რისთვის დავიბადე ამ ქვეყნათ... ეს და ბევრი ამგვარი კითხვები ძლიერ მაწუხებდენ. ვიცოდი, რომ ცოცხალი არსება ვიყავი. სადღაც, ბნელით მოცულ როფში (სკაში) ვიმყოფებოდი. თვალები თუმცა მქონდა, მაგრამ სინათლეს ვერსად ვერ ვხედავდი, მთელი ქვეყნიერობა ბნელის ზეწარში გახვეულათ მქონდა წარმოდგენილი... მართალიც ვიყავ ამ შემთხვევაში.

ჩემი მშობლების როფი (სკა) ბაღის ერთს მივარდნილ კუნჭულში იყო დადგმული როფი მჭიდროთ იყო შეკრული და სინათლეს იშვიათათ შეეძლო იქ შეეშუქა. თუმც ჩემ დღეში სინათლე არ მენახა, არ ვიცოდი რა იყო ნათლით მოსილი ქვეყანა, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა, რაღაც ბუნებითი მოთხოვნილება დღე მოსვენებას არ მაძლევდა და ღამე.. ერთს დილას ჩვეულებრივზე უფრო ადრე გამომეღვიძა... უცებ შევკრთი... თვალები პატარა ბანჯგვლიან ფეხებით ამოვიწმინდე... შევნიშნე, რომ როფის შუა, მის სი-

გრძეზე, წვრილი თეთრი ბაფის მსგავსი, სვეტი გაჭიმული-ყო. უცებ გავექანე და მივუახლოვდი.

მისმა დანახვამ ჩემს თვალებს სულ სხვა ელფერი მია-ყენა. ვგრძნობდი, რომ უფრო კარგათ ვიყურებოდი. სი-ამოვნების სხივმა პირის სახე გამიბრწყინა. ვიფიქრე, რომ ეს რაღაც კარგი, სანუგეშო უნდა იყოს-მეთქი. ვხედავდი, რომ მის ახლო-მახლო სიბნელეს ადგილი აღარ ჰქონდა. აქა-იქ, როფის (სკის) კუთხეებში ჯერ კიდევ იყო სიბნე-ლე, მაგრამ ამ პატარა სინათლის შუქმაც დიდი ცვლილება შემოიტანა ჩვენს ოჯახში. აქ ცხოვრება ახლა კიდევ უფ-რო ჯოჯოხეთურათ მოგვეჩვენა. ოცნებამ შორს გამიტაცა: «საიდან გაჩნდა ეს სინათლე? ნუ თუ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც ამგვარ ნათელით არის შემოსილი?» ვიფიქრე ჩემ-თვის და მივუახლოვდი ამ სვეტს...

ამ დაახლოვებამ ახლა კიდევ სხვა მაგრძნობია. მის ახ-ლოს ხანგრძლივი დგომით რაღაც სასიამოვნო სითბო ვიგრ-ძენ. აქამდის, რომ სიცივისა გამო ვკანკალებდი, ახლა სი-ცივეს სრულიადაც აღარ ვგრძნობდი — გავთბი. ამან კიდევ უფრო დამაფიქრა და უნებლიეთ შემიყვარდა ეს უცნობი მა-ლა. პატარა ხანს შემდეგ გავყევი ამ სინათლის ბაფს და როფის ერთ ჯუჯრუტანასთან მიმიყვანა. აქ შევიტყე, რომ სინათლე ამ ჯუჯრუტანადან შემოპარულიყო...

ცალი თვალით გამოვიხედე, მაგრამ, ღმერთო ჩემო!

რაც ამ ცალი თვალით იქ დავინახე, ის ორივე თვალით ჩემ სიცოცხლეში არ მენახა!

მაშინვე გადავსწვიტე აქაურობა დამეტოვებია. ყველაფრისათვის ზურგი მექცია და ამ ნათლით შემოსილ ქვეყნის კალთებს-ქვეშ თავი შემეფარა. მივხოხდი უფრო ახლოს, ჯუჯრუტანაში გავყავი ცალი ფეხი, მინდოდა მეორეც გამეყო, მაგრამ უცებ უფროსი მეები შემომვრენ, დამეტაკენ და ისევ ბნელით მოცულ როფში გადმომაგდეს.

დიდხანს ვეგდე უგრძნობლათ. გვიან მოვედი გონზე. ავდექი და ისევ ჯუჯრუტანისაკენ გავემგზავრე. ჯუჯრუტანა მუდამ სავსე იყო ფუტკრებით—გადიოდენ და შემოდიოდენ. დიდხანს ვიდექ და დროს ვეძებდი, რომ თავისუფლათ ჯუჯრუტანაში გავმძვრალიყავ და ეს საწეტარო ნათლით შემოსილი ქვეყანა თვალით მენახა.

ამ სანეტარო დროსაც მალე ვეღირსე. ერთ წამს ჯუჯრუტანა განთავისუფლდა; მეც მსწრაფლ მივირბინე და უცებ როფიდან სადღაც ჰაერის სივრცეში გადვიჩეხე. ამ დროს აღარ მახსოვს, სად ვიყავი ან რას ვგრძნობდი. უცებ ფრთები გამეშალა; სიხარული, სიამოვნება და თავისუფლება ყველა ერთათ ვიგრძნე, ყველაფერი ერთ დროს გამოვცადე. აღტაცებული მივრბოდი სადღაც შორს, შორს, თვითონაც არ ვიცოდი სად.

მეგონა ეს სიამოვნება სულ ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ მოვტყუვდი. თურმე ეს ნათლით შემოსილი ქვეყანა

სიტკბოებაზე უფრო მეტს სიმწარეს აგრძნობიებს ყოველ ცოცხალ არსებას, თავისუფლებას უსათუოდ ფრთებს შეუკვეცს. მარტო ჭაერში ფრენა აღარ მარგოდა. ცოტა ხანს შემდეგ სისუსტე ვიგრძნე, ფრთებმა მოძრაობა მიკლეს, რადაც ახალი მოთხოვნილება გამიჩნდა. ხანგრძლივმა ჭაერში ფრიალმა, მხიარულმა მოძრაობამ კუჭი გამომიფიტა. საჭმელი მომინდა. დიახ, კუჭმა თავისი მომთხოვა, მაგრამ დასაკმაყოფილებელი-კი არსაით იყო. როფში ყოფნის დროს ჩემი მშობლები მარჩენდენ, ახლა-კი მშობელ ოჯახს ფეხი დავკარი, თავისუფალი შრომა გამიჩნდა. მე-კი შრომისა, საზრდოს მოპოვებისა არა ვიცოდი-რა. ამ ამბავმა ძლიერ შემაწუხა. ერთი ადგილიდან მეორეზე დავფრინავდი. საჭმელს ვეძებდი, მაგრამ სად რა საჭმელი მეძებნა არ ვიცოდი.

ამ დროს იქვე, გვერდით ყვავილებს თავისი გულ-მკერდი გადაეშალა და მზა სუფრაზე სტუმრებს ეპატიჟებოდა. მეც მიმიზიდა მათმა სტუმართ-მოყვარეობამ, გავეშურე და ერთ ყვავილს გულ-მკერდში ჩავეკონე. უცებ, ჩემს გვერდით, ერთი ხმაურობა, ერთი უზრდელი ბუზ-ბუზი მომესმა. ვხედავ ვიღაც დაუპატიჟებელი სტუმარი მოსულა, ყვავილების გულს ხარბათ და დაუზოგველათ სწუწნის. დიდხანს ვუყურე, გაშტერებით თვალ-ყური ვადევნე: რაც ჭამა-ჭამა, რაც არა და თან წაიღო; არც მადლობა, არც ტკბილი სიტყვა, ადგა და გზას გაუდგა. ვიფიქრე, ვინ არის ასე გაუზრდელი, უმადური, გაუმაძღარი-მეთქი და გამოვუდექი

უკან. დიდხანს ვსდიე. სადაც-კი მივიდოდა —ყველგან ასე უზრდელათ იქცეოდა. ბოლოს ვეღარ მოვითმინე, გავაჩერე და ვკითხე:

— ვინ ხარ შენ, მმობილო?

— რათ გნებავს ამის შეტყობა! თამამათ მიპასუხა.

— ისე. მსურს ვიცოდე, ვინა ბრძანდებით.

— როგორ? ეგებ ჩემი საქციელი არ მოგწონს?

— დიახ. არამც თუ მომწონს, თქვენი საქციელი მლიერაც მაკვირვებს.

— მერე? რა არის ჩემში გასაკვირველი?

— ყველაფერი.

— მაინც.

— პირველი ის, რომ უზრდელათ იქცევით, თუმცა გეტყობათ, რომ აღარც ისე ყმაწვილი ბრძანდებით. მეორე ისა, რომ სად შეგიძლიათ ამდენი ჭამა?! მე მთელი დღე უკან დაგდევთ, თვალ-ყურს გადევნებთ და აგერ არის გავგიჟდები! რას უშვებით ამდენს საზრდოს? სად მიგაქვსთ? ვისთვის გინდათ ეგ საგზალი?..

— ხა! ხა! ხა! ხა! გულიანათ გადიხარხარა იმან. ერთი ეს მითხარ: თვითონ შენ ვინა ხარ? სად დაიბადე? ნუ თუ ამ ქვეყნისა არა იცი-რა?! მაგრამ გეტყობა, ჩემო კარგო, ჯერ ისევ ნორჩი ხარ, ამ წუთისოფელს ჯერ სულ ვერ იცნობ. გამიგონე მმობილო! ცხოვრების ტვირთი თუ გსურს თავზე მიიღო, ესეც უსათუოთ უნდა იცოდე: გიყვარდეს მოყ-

ვასი შენი, ზრუნავდე სხვისთვისაც. ფიქრობდე არამც თუ მარტო შენი კუჭის გამღობაზე, არამედ შენი მოძმეებიც გახსოვდეს, შენი სიხარული მოძმის სიხარულთან მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული. რასაც შენს თავზე ფიქრობ, ის შენი მოძმისათვისაც უნდა იფიქრო. აი, ხომ მხედავ! მთელი დღე დავდივარ, ყველგან ტკბილ წვენსა ვწუწნი; ხელით, ფეხით, ტანით და მუცლით საზრდოს ვეზიდები, მერე ვისთვის? ნუ თუ გგონია, რომ მარტო ჩემი კუჭისათვის? არა. ჩვენს როფში ზოგი მცირე წლოვანია, რომლებსაც მუშაობა არ შეუძლიათ, ზოგიც ავათმყოფი—ყველა ამათ რჩენა, სმა და ჭამა უნდათ. მე მუშა ფუტკარი ვარ. ჩემს კისერზე არის მათი სიკვდილ-სიცოცხლე. მითხრა ეს და წასასვლელათ მოემზადა.

მე, ცოტა არ იყოს, შემრცხვა, მისმა სიტყვებმა შემაფიქრა და უკანასკნელათ კიდევ ვკითხე:

— ძმობილო! უკაცრავათ-კი ვარ, მაგრამ იმედია მაპატიებთ. გთხოვთ, მასწავლოთ ეგ შრომა, ლუკმა-პურის მოპოვება. მეც მსურს თქვენებრ თავის რჩენა და მოძმის დახმარება.

ეს სიტყვები ძლიერ იამა და ალერსით მიპასუხა.

— ეს ძლიერ ადვილია, თუ-კი სურვილი გაქვს! აი, მაგალითათ ჩაეკონეთ ამ ყვავილებს გადაშლილ გულ-მკერდში, ამოწუწნეთ იქიდან თუ რამ ტკბილი იპოვნოთ, გაივსეთ მუცელი, დაიხვიეთ ფეხებზე, ტანზე ყველა ის ტკბი-

ლეულობა, რასაც ამ ყვავილების კონაში იპოვნით. ეს ტკბილი ტვირთი იქ მიზიდეთ, სადაც პირველათ თვალი გამოახილეთ; დასტოვე იქ და ვისაც ეწირება თვითონ მოისმარს.

ამ სიტყვებმა ძლიერ დამაფიქრა. რაღაც უხილავმა ძალამ ყურში ჩამძახა: «რათ ყოფილხარ შენ გაჩენილი? რისთვის ცხოვრობ? ამის პასუხს ჩემი ნორჩი გული საიდუმლოთვე ეუბნებოდა. «დიახ, ახლა-კი ვიცი, რისთვისაც ვყოფილვარ მე გაჩენილი? მისთვის, რომ მარტო ჩემი კუჭი არ გავაბატონო, ჩემი ნაშრომი სხვასაც გავუზიარო, მოძმის გულის ტკივილი ვიგრძნო, გვერდს ამოვუდგე და ვანუგეშო.

ვიფიქრე ეს და სიამოვნების ნიშნათ ხმა-მაღლა მივამახე:

— ძმობილო! შენმა სიტყვებმა ამაღელვა, გამამხნევა და გთხოვთ მომითმინოთ. მეც შენსავებრ ნაშრომით დავიტვირთები და შენი მონა მორჩილი ამ ტვირთით უკან წამოგყვები. გევედრები იქ მიმიყვანო, სადაც ჩემს ნაშრომს ჩემი მოძმე მიიღებს და მით ისარგებლებს. ცოტა ხანს უკან ორივენი მძიმე ტვირთით გზას გავუდექით.

საღამოს ჟამი იყო. ერთს პატარა ბაღის კუნჭულში რამდენიმე როფი იდგა. უცებ კარები შევაღეთ და ამ როფის ჯუჯრუტანას ორი დატვირთული ფუტკარი მივადექით. ერთი თვალის გადავლებით ვერ ვიცანი ჩემი სამშობლო, მეძცნაურა-კი, მაგრამ ფიქრათაც არ მომივიდოდა, რომ ჩე-

მი ბედი ისევ აქ მომიყვანდა. მეორეთ კიდევ დავაცქერდი და როცა დავრწმუნდი, რომ ნამდვილ ჩემი მშობლების ოჯახი იყო, სირცხვილით ფერი მეცვალა, ცივმა ოფლმა დამასხა დიდხანს ენაჩაკმენდილი ვიდექი და ვფიქრობდი... ამ დროს უცებ უფროსმა ფუტკარმა ხელი მომკიდა და როფის ჯუჯრუტანასკენ გზა მიმასწავლა.

— აი, ჰატარავ! მანდ შედი. შენი ნაშრომი ყველაფერი მანდ დატოვე. შენი მოძმენი ნახვენ და მოიხმარებენ. შენ-კი ყოველ დღე ასე იშრომე და ეს შრომა შენც დაგატკბობს და სხვასაც ასარგებლებსო. მითხრა და შემიძღვა სტუმრებით სავსე როფის დარბაზში.

მას დღეს აქეთ ამგვარ შრომას ხელი მოვკიდე და ჩემს სიცოცხლეში არც ვუღალატებ. დავფრინავ, ყვავილიდან ყვავილზე ვჯდები, ტკბილს წვენს ვწუწნი და ამ შრომის დროს მხიარულად ჩემთვის ვღიღინებ:

„მისთვის დავფრენ მოუსვენრად, რომ მოვძებნო ყვავილიო.
გულის წვენი ამოვსწუწნო, სამკურნალო რამ ტკბილიო.
შევუმზადო მით ქვეყანას თაფლი, ზეცას სანთელიო,
რომ იქ წმინდათ შეიწიროს და ანათოს აქ ბნელიო“.

თეოფ. ხუსკივაძე.





## ა ნ დ ა ზ ა.

(წარმოდგენილი მ. ღელაშვილისაგან).

როცა კაცსა მოშივდება, მაშინ ხახვიც გატკბილდება.

---

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი მისგანვე).

თუმცა სუსტი ციხე ვიყავ,
მაგრამ ბევრი ჯარი მყავდა;
როცა მტერმა დამაქცია,
ყველა ერთათ დამეფანტა.

—

დაუთვალავი ძმებითა
ვცხოვრობდი ცხოველ მთაზედა,
მოვიდა რკინა დაგვხოცა,
დანები ება ყბაზედა.

---

## ანაგრამა.

(წარმოდგენილი მისგანვე).

პირველი არის ყვავილი,
ქალსაცა ჰქვიან სახელათ,
მეორე არის მცენარე
გამოსადეგი საჭმელათ;
ორივე ოთხი ასოთი
ადვილი არის საწერათ.

# რებუსი

(წარმოდგენილი სათ.-აზნაურ. სკოლ. მოწ. ნ. წინამძღვრიშვილისაგან).



# გაზაფხულის მოწოდება.

(რუსულიდან)

აღარ გვინდა ქარიშხალი...
გვძულს ჩვენ თოვლის თეთრი ველო...
აბა ჩქარა, მოდი ჩვენთან
გულით გელით, გაზაფხულო.

—

მოდი... ყინვა მოგვაშორე,
ბორკილები მოხსენ წყაროს
და კვლავ მიეც ბინა ქვეყნათ
იმედს ტკბილს და სანეტაროს.

—

ცას მოსწმინდე, შორს გაჰფანტე
შავ და მძიმე ღრუბელთ გროვა
და გულს ტანჯულს მიახარე,
რომ ზაფხული მალე მოვა..

—

კვლავ გვასხურე შენის წვიმის
სასიცოცხლო წმინდა ცვარი
და სიცოცხლის საგალობლათ
კვლავ მოჰმართე შენი ქნარი.

—

გამობრწყინდი მზის სხივებით
და დაიწყე ტკბილი მღერა.
სიკეკლუცით გაგვახარე
და დაგვიტკბე გულის ძგერა.

ქოჩო.

# რათ წაიყვანეს?



ჩილინგდრიანთ პატარა ოთახი მზის სხივებით სავსეა. ბუხარში ცეცხლის გუზგუზი და იქ მიმდგარი პატარა კოჭბით ლობიოს დუღილი სახლში მკაფიოთ ისმის და ტასიას მხიარულ და მოღიმარ პირისახესთან ერთად, ამ ღარიბთა სადგურს ბედნიერების ბუდეთა ხდის.

ტასია, ოც-და ხუთის თუ ექვსის წლის ლამაზი დედაკაცი, ტახტზე დარეჯან დედოფალივით ამაყათ მოკეცილი ზის და ფაცი-ფუცით ათავებს თავის უფროსი შვილის ლექსოას წითელ ხალათს, იქვე გვერდით გამოჭრილი ულაგია ნუშოს ბანბაზიის ცისფერი კაბა და თავისი ქრმის პირისფერი ჩითის პერანგი.

— იჰ! შუადღე გადასულია და მე-კი ჯერ ლობიო არ შემიკმაზამს, ამბობს ტასია და თან საქმეს აშურებს.—ღმერთიც უშველის ჩემ მულს, რომ ბავშვებს ის მინახამს, თორემ რას დამაცლიდნენ საკერავს. შობამდინ ორი დღე-ღა დარჩა, ნეტა როგორ-ღა უნდა მოვასწრო ყველაფრის შეკერვა? რაღა ახლა მოუნდა ი ჩემ დედამთილსაც ქალაქში წასვლა, ის რომ შინ ყოფილიყო, ოჯახს ის მოუვლიდა, ბავშვებს უპატრონებდა და მე საკერავს გავცემდი პასუხს!

— იქნება ხვალ საღამოს გიგოც ჩამოვიდეს ბათუმიდან. ენაცვალოს ტასიას თვალები იმას სულში!—რამდენი რამ გამოგვიგზავნა საშობაოთ! ყველას თითო რამ საჩუქარი, არც ერთი არ დაგვივიწყა: დედამთილს თბილი შალი, მე მშვენიერი ყვავილებიანი ბალ-

დადი, ბავშვებს ფეხსაცმელ-ტანთსაცმელი და მერე სუყველაფერი რა მშვენიერი, მაგარი და თანაც ლამაზი. არა ჰგავს ელუა ურიას მოტანილ დამპალ ფართალს!

— „საშობაოთ ჩამოვალ და თან ჩამოვიტან ყოველნაირ სანოვაგესო და სტოლზე დასადგმელ სარკესაც შენთვისო, ჩემო კარგო დედაკაცოვო“ მწერა გიგო, გოგიას მოტანილ ბარათში. „სტოლზე დასადგმელ სარკესო!“ რა რიგ მიხარიან, რამდენი ხანია მენატრება, თვალები ზედა მრჩება ვის სახლშიაც-კი დავინახავ.—ოხ ღმერთო! ჯანი მიეც ი კაცს, რომ დიდხანს იმუშაოს და ოჯახი ოჯახს დაავანოს! რამდენი რამ აკლია სახლს, რამდენი! „ეს პატარა ოთახი ისე უნდა მოვრთო და ავაჭრელო, როგორც ბათუმში მცხოვრებ მუშებსა აქვთ მორთულიო: სტოლით, სკამით, კამოდით, ხალიჩა-ფარდაგით, კედლებზე სულ სურათები უნდა ჩამოვკიდოო, ზარიანი საათიო“ ასე ამბობს ჩემი გიგო. „ვენახს ტრუშული ღობე უნდა შემოვავლო, საბძელს კრამიტი უნდა დავხუროვო“...

ცეცხლი დაიფერფლა, ლობიომ დუღილი შესწყვიტა, ფანჯრიდან მზის სხივები მიეფარნენ და ტასია-კი ისევ საკერავში იყო გართული და ტკბილ ოცნებების მორევში სცურავდა

უცებ კარი შემოაღო და გიგო შემოვიდა მძიმე ხურჯინით დატვირთული.

— ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია! მოხვედი კიდეც, ადამიანო? სიხარულით შეჰყვირა ტასიამ და საყვარელ ქმარს კისერზე მოეხვია.

— მოვედი, მაგრამ ვაი ამ მოსვლას! ამოოხვრით სთქვა გიგომ და ცეცხლა პირას ჩამოჯდა, ცეცხლს შეუბერა, მწუხარებით სავსე თვალები გაღვივებულ ნაკვერჩხლებს მიაშტერა და გაჩუმდა.

— რა დაგმართნია, კაცო? რაზე დასევდიანებულხარ, მაგრე? ჩვენებიანთ ამბავი ხომ არა შეგიტყვია-რა?.. ხმის კანკალით შეეკითხა ტასია გიგოს.

გიგომ კარგა ხანს პასუხი არ მისცა ცოლს, იმას თითქო უმძიმდა თქმა იმის, რაც სულს და გულს უშხამავდა.

— ადამიანო, რას გაჩუმებულხარ, რატო არ მეტყვი რა ამბავია ჩვენ თავსა? კიდევ უფრო ჩაციებით შეეკითხა ტასია ქმარსა.

— ის ამბავია რომ სიკვდილი ხჯობიან ამ სიცოცხლესა...

— რა, კაცო, რა? მითხარ და გაათავე, გული ნუ გამიხეთქე, შე ოჯახქორო? ფერ-მიხდილი და თავზარ-დაცემული ეკითხებოდა ტასია ენა ჩავარდნილ გიგოს.

— ისა რომ... სალდათათ უნდა წამიყვანონ... ომიანობის გამო „ზაპასნოებსაც“ აგროვებენ და მე...

— სალდათათ შენც? ომში უნდა წაგიყვანონ? შეჰკივლა და იქვე ჩაიკეცა... უწინამც დღე დალევია შენ ტასიას... სამ-სამ შვილს ლუკმა ვიღამ უნდა აჭამოს... ოჯახს ვიღამ უნდა უპატრონოს?.

— რეებს ლაპარაკობ, დედაკაცო! ვინ დაგიდევს შვილებს, ოჯახს... ხელმწიფეს სალდათი სჭირია და მორჩა და გათავდა...

— მერე შენც მისდევ? უარს არ ამბობ? ახლა-კი გაანჩხლებით შეჰყვირა ტასიამ. — პირაში სიტყვა არა გაქვს? ქვეყანაზე სამართალი გამწყვდარა?.. ერთი ძმა იქ ახლავთ და მეორეც ზედ უნდა დაადონ?

— მეც ბევრი ვიბობოქრე, ბევრი ვახალე ქვას თავი, ბევრს მივეხალ-მოვეხალე, მაგრამ ხსნის გზა არსაით აღარ არის.

— საიდან სადაო? სად ომში, ვის ომში? ჩვენი რა ბრალია რომ იქ, საცაღა ომობენ და ერთმანეთს ქლეტენ... თავი ვის უნდა შევაკლათ...

— ტყუილად ნუ ლაპარაკობ, ჩემო ტასია! საქმე გათავებულია, ჩემი ბედი გადაჭრილია! სჯობს სამზადისს შევუდგეთ... დედაჩემს ისე როგორმე შევატყობინოთ, რომ გული არ გაუსკდეს... ჯერ ი ბიჭის ვარამიც ვერ მოუნელებია... ვინ იცის ჩვენი ოჯახის თვალი გიორგი ცოცხალია თუ...? ოხ, ოხ! წუთისოფელო! რა ოხრათ ხარ გაწყობილი... ლამის კაცი ჭკუიდან შევიშალო...

— ოხ, ღმერთო, ღმერთო! რა დაგიშავეთ, რა შევცოდეთ ამისთანა, რაზე აიღე ჩვენზე ხელი, რად გვინგრევ ოჯახს, რად გვიბრმავებ თვალებს... და საბრალო ტასია საზარელის ქვითინით პირქვე დაეცა ტახტის ფიცრებზე.

პატარა ოთახში ჩამობნელდა. ბუხარში მინელებული ცეცხლი ოდნავ ანათებდა ორათ მოკუნტულ ტასიას და მის გვერდით გულ-ხელ-დაკრეფილ გიგოს. დიდხანს ისხდნენ ესე სევდით განადგურებული ყმაწვილი, სიცოცხლით სავსე ცოლ-ქმარნი და ვერც ერთი ველარ ჰბედავდა ამ სიკვდილივით მძიმე სიჩუმის დარღვევას.

— ვიწძლო, დედაკაცო, შვილებს გაუფრთხილდე... ოჯახს წიხლი არ დ ჰკრა, ჩემ შემდეკ არ გათხოვდე... ძლივ-ძლივობით წარმოსთქვა გიგომ და ისე ამოიკვნესა, თითქო ნათქვამს თან ამოატანა მთელი თავის სიცოცხლეო.

— მაშ ხვალ მიხვალ უთუოთ, უთუოთ? საშველი არსაით არის?.. მოსყიდვა არავისი შეიძლება? ამბობენ ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო... ერთი სამი თუმანი მაქვს დამალული შავი დღისათვის... ჩემ შუბლიქინძისთავსაც გავიმეტებ... ჩურჩულით წარმოსთქვა ტასიამ.

გიგომ მწარეთ ჩაიცინა და თავზე ხელი დაადო ცოლს,—ჩემო საწყალო დედაკაცო! რეები არ მოგივა თავში, მაგრამ ყველა ტყუილია, ჩემ საქმეს საშველი აღარა აქვს; ხვალ საღამოს „სტანციაზე“ უნდა გამოვცხადდე და ათზე „პოეზდი“ დაიძვრის შორეულ აღმოსავლეთისაკენ...

— ოხ! ოხ! თვალებო დამდგარო, ოჯახო დაქცეულო! კიდევ აქვითინდა ტასია და ორთავ ხელები თავში შემოიკრა. მერე მხარზე დაეყუდა ქმარს და ყურში ჩურჩულით ჩაჰზუზუნა:

— მერე თავი რაღათ მინდა ცოცხალი, უშენოთ განა მზეს კიდევ უნდა ვუყურო, ადამიანებში კიდევ უნდა გავერიო? შვილებს რა პასუხი გავცე... დედაშენი რითი ვანუგეშო?..

— ნუ ტირი, დედაკაცო, ნუ ტირი! გულს ნუ მიკლავ, ხომ ხედავ ნახევარ კაცი აღარა ვარ, ღამის ვარამმა გამათავოს...

— დედაშენს რაღას ეუბნები? ის მაინც შეიბრალე, ის ხომ შენ მოშორებას ველარ აიტანს, გიორგის ჯავრით ორათ არის მოკუნტული... მოსთქვამდა კიდევ და კიდევ ტასია.

— ნუ როტავ, დედაკაცო, ნუ როტავ! ხომ იცი საქმე წასუ-

ლია და ტყუილათ რაღაზე მაკვნესებ და მაავადებ... დედაჩემს ნუ შეაწუხებინებთ, როცა ქალაქიდან ამოვიდეს, უთხარი რომ ისევ ბათუმში ვარ სამუშაოთ. დეე მელოდეს და მელოდეს.. მოლოდინი და იმედი ძმები არიან საწყალი ადამიანის სანუგეშებლათ გაჩენილი...

— როგორ უნდა დავუმალოთ?! გული უგრძნობს, ეტყვის ვინმე... ვარამი გაიტანს;

— რა ვქნათ, რა ვქნათ! ხელების მტვრევით სთქვა გიგომ.—მეტი გზა არ არის, დეე ის მოხდეს, რაც ღვთის ნებით მოსახდენია... წადი ბავშვებს დაუძახე. აქამდინ სად არიან? ერთი ღამე უნდა გავატარო იმათთან, მხოლოთ ერთი ღამე! მოიყვა გულში ჩაიკრა, სულში ჩაიძვრინო... აქ-კი გიგომ ცრემლები ველარ შეიკავა და ყელში თოკ-წაჭერილივით აზრიალდა.

---

შავგორის სტანციასთან აუარებელი ხალხი ტრიალებს. ყველანი მოუთმენლათ მოელიან მატარებელს. აქვე სდგანან გიგო და ტასია თავისის სამის შვილით, გარშემო ნათესაობა ახვევიათ. ქრისტიშობის სუსხიან ქარს მიაქვს და მოაქვს აქაურობა და ძვალსა და რბილში უჯდება ადამიანს, მაგრამ უბედური ცოლ-ქმარნი ამას ვერ ამჩნევენ, ისინი მკვიდრათ მიჰყრდნობიან ერთმანეთს და თითქო ერთ სულ და ერთ ხორცათ ქცეულან. მხოლოთ გიგო ხანდახან მოუჭერს ხელს ხელზე თავის პირმშოს—რვა წლის ლექსუას და სასოებით წაიბუტბუტებს: „ოხ, ღმერთო! ღმერთო! სად არის შენი სამართალი, სად არის? რათ უნდა მივატოვო ჩემი ცოლ-შვილი... საკლავ ძროხასავით სად მიმათრევენ...

„პოეზდი“ მოდის „პოეზდი!“ ახმაურდა ხალხი. ფაცი-ფუცი დაიწყო ყველამ, ყველამ თავ-თავის ბარგს დაავლო ხელი, მოიმარჯვა თავისი ავლადიდება ვაგონშისწრაფად შესატანათ. გიგო და ტასიაც გამოფხიზლდნენ.

— ეს ნამცხვარია, დედალი, ცოტაოდენი თევზი და საახლწლოთ დამზადებული სამკვლეველი... ახალი გამოფხიზლებულივით აჩეჩებს რაღაც გამოკრულს ტასია გიგოს.—არავინ მოგპაროს, მშიერი დარჩები. ეს შენი საცვლებია, თბილი წინდები... აი ეს წმინდა გიორგის ბეჭედიც გულზე დაიკიდე, არ მოიშორო... იქნება დაგიფაროს იმისმა მადლმა. ოჰ, ოჰ! ძვირფასო, საყვარელო! და გონება დაკარგული ეცემა ქმრის გულზე.

— ტასი, ტასი, ქალო! რა დაგემართა, გამაგრდი, გონს მოდი! აჯანჯღარებს გულწასულს თავისი რძალი თინა,—შეიბრალე ეს საწყალი კაცი და თან შალის კალთით ცრემლებს იწმენდს.

— შვილებო, ჩემო ჭრუკებო! ჩემო ლექსო, ჩემო სულის კლიტევ! მშვიდობით, მშვიდობით... დედას გაუფრთხილდით, მამას ნუ დაივიწყებთ... ნუ დაივიწყებთ...

— მამა.. . მამა... მამა! სად მიხვალ? სად მიხვალ? არ გაგიშვებთ... ღრიალებენ და ზედ ებღაუჭებიან გიგოს ბავშვები.—ჩვენი მამა ვილა იქნება, არ გაგიშვებთ!

— მარშ, მარშ, въ вогонъ! ყვირის მოთმინებიდან გამოსული შტიკიანი ყარაული.

— არ შემიძლიან, არ წამოვალ! აქ მამკალით. აი ჩემი გული, მესროლეთ, მამკალით! ყვირის გიგო.

— Бери его! Бери! უკამანდეს ყარაულებმა ერთმანეთს და წიაღ წიაღით აათრიეს გიგო ვაგონის კიბეზე.

— მშვიდობით, მშვიდობით ცოლო და შვილო, ჩემო ქვეყანავ..

— გიგო, გიგო! საყვარელო, ძვირფასო... მამა, მამა... მამა გაისმა ჰაერში საშინელი კივილი და შეუმჩნევლად მიწყდა საჩქაროთ მიმავალ მატარებლის რაკა-რუკში.

ეკ. გაბაშვილისა.



თათრების მფლობელობა

# საქართველოში.

საქართველოს ცუდი დრო დაუდგა თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ჩვენს ქვეყანას შემოესიენ თათრები. ეს ხალხი სრულებით უცნობი იყო ქართველებისთვის, რადგან მანამდე არა ჰქონდათ ჩვენებს მათთან არც მეზობლობა და არც მისვლა-მოსვლა. მეთორმეტე საუკუნის გასულამდე თათრები წარმოადგენდენ წვრილ-წვრილს ტომებათ დანაწილებულ ხალხს, რომელიც მოსახლეობდა თეთრის ზღვის გაღმა მხარეს და მისდევდა მხოლოთ საქონლის მოშენებას. ეს წვრილ-წვრილი თათრის ტომები ხშირათ ერთმანერთს ებრძოდენ საბალახო ადგილებისათვის და არავითარი ძალა არა ჰქონდათ. მხოლოთ მეცამეტე საუკუნის დამდეგს ერთის ტომის უფროსმა ჩინგიზხანმა შეაერთა ყველა თათრის

ტომები და შექმნა მათგან ერთი ძლიერი ხალხი, რომელმაც არ იკმარა თავისი საკუთარი მიწა-წყალი, შეესია სხვა ქვეყნებს და მცირე ხანში დაიპყრო თითქმის მთელი აზია და უმეტესი ნაწილი ევროპისა.

სპარსეთის დაპყრობის შემდეგ თათრები შემოვიდნენ საქართველოშიაც 1221 წ. გიორგი ლაშას დროს. გამარჯვებას მიჩვეული და თავგამოდებული ქართველები მედგრათ დაუხვდნენ თათრებს და კიდევაც გააბრუნეს უკან. მალე მოკვდა გიორგი ლაშა და გამეფდა მისი და რუსუდანი 1223 წ. ორის წლის შემდეგ საქართველოს შემოესია ხორასნის სულთანი ჯალალ-ედინი მთელის თავისის ჯარით, თათრებისაგან გამოდევნილი თავის ქვეყნიდან. ჯალალ-ედინს უნდოდა საქართველო დაეპყრა და მის არე-მარეში გამაგრებულიყო თათრების წინაამდეგ. თავზე ხელ-აღებულს და ახალის ბინის მძებნელ ხორასნელებთან ქართველებმა საშინელი ბრძოლა გასწიეს, მაგრამ დამარცხდნენ და ჯალალ-ედინმა დაიპყრა ტფილისი 1225 წ. რუსუდანი ქუთაისში გამაგრდა. ხორასნელებს ბევრს ხანს არ მოუხდათ საქართველოში დარჩენა. თათრები ხელ-მეორეთ შემოვიდნენ საქართველოში და გადევნეს ჯალალ-ედინი თავისი ჯარით (1230 წ.). ხორასნელებთან ბრძოლაში დაღალულმა ქართველებმა ველარ გაუწიეს შესაფერი წინაამდეგობა თათრებს და იძულებული შეიქნენ დამორჩილებოდნენ. ამნაირათ დადგა თათრების მფლობელობის ხანა.

თათრების მფლობელობა თავისებური იყო. თათრები ქართველებისგან თხოულობდნენ მხოლოთ გადასახადს და ჯარს სალაშქროთ. სხვაფრივ საქართველოს წეს-წყობილება ხელ-უხლებლათ დატოვეს: არ შეხებიან არც მართვა-გამგეობის წესს, არც სამართალს და არც სარწმუნოებას. საქართველოს მართავდა ისევ ქართველი მეფე, რომელიც ადიოდა ტახტზე თათრის ყაენის დასტურით იმ პირობით, რომ აესრულებინა ხსენებული ორი მოთხოვნილება თათრებისა. თუ მეფე არ შეასრულებდა მათ, ყაენი მეფობას ართმევდა

და აძლევდა სხვას, მის შემდეგ ტახტის დასაჭერათ სამეფო გვარში უმეტესის უფლების მქონეს.

თუმცა დიდი შეღავათი იყო ქართველებისთვის, რომ მათ ჰყავდათ თავიანთი მეფე, თავიანთ წესებით იმართებოდენ, თავიანთ კანონით სჭრიდენ სამართალს და მათ სარწმუნოების საქმეში დამპყრობელები არ ერეოდენ, მაინც დიდ ტვირთათ აწვათ მათ თათრების უღელი, რომელიც გამოიხატებოდა ხარჯის ძლევაში და სალაშქროთ გასვლაში. ხარჯის ძლევა არ იქნებოდა მაინცა და მაინც ძალიან სამძიმო, რომ ხალხი მოსვენებული ყოფილიყო და შეძლება ჰქონოდა ეშრომნა სარჩოს საშოვნელათ, მაგრამ მეორე მოთხოვნილება თათრებისა—ლაშქრობა შრომის ნებას არ აძლევდა ხალხს, რადგან ქართველების საუკეთესო ნაწილი ლაშქრათ მიდიოდა და უნაყოფოთ ატარებდა დროს უცხო ქვეყნებში. ამასთან თვითონ ეს ლაშქრობა და სისხლის ღვრა თათრების გულისთვის, რომლებთანაც ქართველებს არაფერი საერთო არა ჰქონდათ-რა, ძალიან სამძიმო და უსიამოვნო ტვირთი იყო. მართალია, ქართველები მამაცათ და ერთგულათ იბრძოდენ თავიანთ დამპყრობელებისთვის, მაგრამ ამას ჩადიოდენ იმიტომ-კი არა რომ მოვალეთ სთვლიდენ თავს, არამედ იმიტომ რომ ჩვეულება ჰქონდათ ომში ვაჟკაცურათ და თავდადებით ებრძოლნათ.

ამ ორის დიდის შეწუხების გარდა ბევრი ცუდი შედეგი ჰქონდა თათრების მფლობელობას. საქართველოს დიდებულებმა ისარგებლეს მეფის უფლების დამცირებით და მოინდომეს თავიანთ უფლების გაფართოვება მეფის წინაამდეგ მათ დაიჭირეს კავშირი თათრის ნოინებთან (გამგებლებთან), რომელთა შორისაც იყო განაწილებული საქართველო ხარჯისა და ლაშქრის მოკრეფის საქმისთვის და ისე იქცეოდენ, როგორც თავიანთთვის სასარგებლოთ მიაჩნდათ. ერთპირობისა და ერთგულობის მაგიერ დამყარდა განხეთქილება და განცალკევება დიდებულთა შორის. ეს კიდევ არაფერი, თათრების

მფლობელობას მოჰყვა ერთიანის საქართველოს გაყოფა ორს სამეფოთ.

მეფის უფლების შესასუსტებლათ და მნიშვნელობის გასაქარწყლებლათ თათრებმა ისარგებლეს იმ შემთხვევით, რომ მათი მფლობელობის დამყარების დროს, რუსუდანის სიკვდილის შემდეგ, გამოჩნდა ორი ტახტის მაძიებელი—გიორგი ლაშას ძე დავითი და რუსუდანის ძე დავითი, და იმათაც ორივე გაამეფეს საქართველოს ტახტზე. პირველი დავითი ჩვენს ისტორიაში ცნობილია დავით მეოთხეთ, მეორე—დავით მეხუთეთ. ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ ორი მეფე ერთს ტახტზე ვერ მოთავსდებოდა და ეგრეც მოხდა. დავით მეოთხე ყველაფერში ემორჩილებოდა თათრებს და მორჩილებით იტანდა მათ უღელს, დავით მეხუთეს-კი მეტათ სამძიმოთ ეჩვენა ეს უღელი და გადაწყვიტა გადგომა. თათრებმა შეუტყეს განზრახვა და შეიპყრეს კიდეც დავით მეხუთე, მაგრამ მან მოახერხა თავის დახსნა და გადავიდა იმერეთს. იმერ-საქართველოს მცხოვრებნი სიამოვნებით მიეგებნენ დავით მეხუთის გადაწყვეტილებას და დაჰპირდნენ მედგრათ ებრძოლათ თათრებთან. მართლაც განდგომილ დავითის წინაამდეგ გაგზავნილი ჯარები დამარცხებულები გამობრუნდნენ და ამნაირათ იმიერ-საქართველოში მოისპო თათრების მფლობელობა (1250 წ.). თუმცა ერთის მხრით სასიხარულო იყო საქართველოს ერთის ნაწილის გათავისუფლება თათართა მფლობელობისაგან, მაგრამ მეორე მხრით სამწუხარო იყო ისა, რომ საქართველოს მეორე ნაწილი, ახლა უფრო შევიწროებული დარჩა თათრების ხელში. ამ თათრობის დროინდელმა განაწილებამ საფუძველი დაუდო მომავალში საქართველოს ორათ და სამათ განაწილებას, რასაც ფრიად დამღუპველი გავლენა ჰქონდა ისტორიაში ქართველთა ერის სვე ბედზე.

ერთის მხრით მეფისა და ჯარის მუდამ სალაშქროთ შორეულს უცხო ქვეყნებში ყოფნამ, მეორე მხრით დიდებულთა გაცალკევებამ და ქიშპობამ აუქრუბინა მეზობელს მთიელს ხალხებს ესარგებლათ ქართველების სისუსტით და იმათაც თავიანთ მცარცველობის ქონის

მოსაკლავათ დაიწყეს თარეშობა საქართველოს არე-მარეში. ამ მხრით ყველაზე მეტათ თავი იჩინეს ოსებმა. საქართველოს ძლიერების დროს ეს მთიელი ხალხი მშვიდობიანათ იყო ხოლმე და მშვიდობიანის შრომის საშუალებით წილს იდებდა საქართველოს კეთილ-დღეობაში, ხოლო როდესაც საქართველო პოლიტიკურათ სუსტდებოდა, ის მშვიდობიანის მეზობლობის მაგიერ ძარცვა-ტაცვას მიჰყოფდა ხოლმე ხელს. ასე მოხდა ახლაც. თათრების მფლობელობის ქვეშ დასუსტებულს საქართველოში ოსებმა თავისუფლათ იწყეს თარეშობა და მათი თავხედობა იქამდის მივიდა, რომ ქართლში დაიჭირეს გორის ციხე და სამცხეშიაც-კი გაითარეშებდენ ხოლმე.

ამავე თათართა მფლობელობის შედეგი იყო დაცემა საქართველოში სწავლა-განათლებისა და მწერლობისა, გარყვნა და გახრწნა ქართველების ზნეობისა, შესუსტება ქრისტიანულის სარწმუნოებისა.

